FS67 ✓ 3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 12 (149)

ივლისი

1966 წელი



აბჰარა, მწვანე კონცხი, სანატორიუმი „აბჰარა“.

მეგობრობა თანამემამულეებთან

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების III პლენუმი

ძვირფასო თანამემამულენო! 5 ივლისს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიმართა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მორიგი, მესამე პლენუმი. პლენუმმა შეაჯამა საზოგადოების საქმიანობა განვლილი ერთი წლის მანძილზე, აგრეთვე იმსჯელა საზოგადოების მომავალი მუშაობის შესახებ.

პლენუმმა აირჩია საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა და სარევიზიო კომისია. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ცნობილი მუსიკათმცოდნე, პროფესორი პავლე ზუჭუა, თავმჯდომარის მოადგილედ საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად გიორგი კავთიაშვილი.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაფიელ დვალი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუხრაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე არჩილ გიგოშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დოდო ანთაძე და სხვები.

პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე პავლე ზუჭუა. მისმა გამოსვლამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ პლენუმის მასალებს.

პროფესორი კაკლე ზუჭუა,

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე.

ის დიდი პატრიოტული, კეთილშობილური მოვალეობა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აკისრია, ყველასათვის ნათელია, — თქვა ორატორმა. სხვადასხვა მიზეზის გამო ათასობით ჩვენი თანამემამულე სამშობლოს გარეთ იმყოფება, ბევრ მათგანს დიდი სურვილი აქვს დაბრუნდეს, ანდა სტუმრად ჩამოვიდეს სამშობლოში. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა მივაწოდოთ მათ ის სულიერი საზრდო, რომელიც ნაწილობრივ მაინც გაუქარვებს სევდას სამშობლოსაგან მოწყვეტილ თანამემამულეებს, გაამხნევებს, კიდევ უფრო დაახლოებს სამშობლოში მყოფ მახლობლებთან, ნათესავებთან, ნაცნობ-მეგობრებთან.

ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან ურთიერთობისა და კულტურული კავშირის განვითარებისა მიწერ-მოწერის დამყარებაა. ზოგიერთი დაბრკოლების მიუხედავად ეს მიწერ-მოწერა წლიდან წლამდე იზრდება. 1964 წელთან შედარებით მიწერ-მოწერა თანამემამულეებთან დღეისათვის თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამ წერილების მთავარი თემაა უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მისი მდიდარი ისტორიული წარსულის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გაცნობისა და შესწავლის სურვილი.

გაგაცნობთ ზოგიერთი თანამემამულის წერილს. აი რას იწერება ჩვენი პარიზელი თანამემამულე ალექსანდრე მელიავა: „დიდსა თუ პატარას, ყველას უნდა საქართველოში ჩამოსვლა. ეს თქვენი საზოგადოების მიღწევაა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ“.

ძნელია არ აგაღელვოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებულმა წერილმა, რომელიც დიმიტრი მახარაშვილმა გამოუგზავნა საზოგადოებას: „ალბათ დიდი ხნის ოცნება ამისრულდება და კვლავ საყვარელ სამშობლოს ვინახულებ. სიხარულით მიწას ფეხს ვეღარ ვაბიჯებ. ჩემი სიხარული ისე გაიზარდა, რომ აღარ მცალია ტკივილებზე ვიფიქრო“.


ორი წლის წინათ სამშობლოში სტუმრად იმყოფებოდა საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ალექსი რუხაძე. თუ რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე დღევანდელმა საქართველომ, ამაზე მისივე წერილი მოგვითხრობს: „თქვენი საზოგადოების წყალობით ბევრი რამ ვნახე საქართველოში, ბევრი გავიგე. ვცდილობ ჩავკლა ნოსტალგია, რომელიც ჩემში სუფევს. ამისათვის მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: ისევ დავბრუნდე საქართველოში და ვემსახურო სამშობლოს. ვამაყობ, რომ ქართველად დავიბადე“.

ბევრი ჩვენი თანამემამულე თავის წერილებში საზოგადოებას სთხოვს გაუგზავნოს ქართული ჟურნალ-გაზეთები, ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები, გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკის გრამჩანაწერები. საზოგადოება შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს თანამემამულეთა სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნილებას ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშებზე. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს საზოგადოებამ გაუგზავნა 1.500-მდე წიგნი, ბროშურა, ქართული მუსიკის ჩანაწერები.

საზოგადოება თავის მუშაობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამემამულეთა სამშობლოში სტუმრად მოწვევის საკითხს. როგორც ცნობილია, ყველა ხარჯს, რაც სამშობლოში მოწვეულ თანამემამულეთა სტუმრობასთან არის დაკავშირებული, მთლიანად საზოგადოება კისრულობს. მაგალითად, შარშან საზოგადოებამ სამშობლოში სტუმრად მოიწვია ათი თანამემამულე. კერძოდ, პეტრე ქიტიაშვილი, გიორგი დუიშვილი, ილია ჯაბადარი და სხვები. ბევრი ჩვენი თანამემამულე სამშობლოს ესტუმრა მეუღლითა და შვილებითურთ.

წლეულს საზოგადოებას განზრახული აქვს უცხოეთში მცხოვრები 24 ქართველის მოწვევა სამშობლოში. უკვე მიღებულ მოწვევა რევაზ გაბაშვილმა, ოთარ კრავეიშვილმა, დაძმამ რუხაძეებმა, დაძმა მელიავებმა, ცოლ-ქმარმა გორდელაძეებმა, თამარ და გიორგი შარაშიძეებმა, დიმიტრი მახარაშვილმა, ჯიმშერ წულაძემ და სხვებმა. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხორობენ.

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოში ახსოვთ და უღრმესი პატივისცემის გრძნობით იხსენიებენ იმ უცხოელ მეგობრებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა მეომრების მხარდამხარ. ცნობილია, თუ რა დიდი საბრძოლო მეგობრობა აკავშირებდათ ომის წლებში ფრანგ და ქართველ პარტიზანებს. მათ არაერთი გმირული ფურცელი ჩაწერეს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიაში. ამას წინათ საზოგადოებამ საფრანგეთიდან მიიღო ჩვენი თანამემამულის პეტრე ქიტიაშვილის წერილი. იგი გვატყობინებდა, რომ ყოფილ ფრანგ პარტიზანს დიდი სურვილი აქვს ჩამოვიდეს საქართველოში, რათა მოინახულონ ქართველი თანამებრძოლები, რომლებსაც ომის მძიმე წლებში დაუმეგობრდნენ.



სიტყვას ამბობს პროფ. პ. ზუჭუა.

ამ წერილს საზოგადოება დიდი გულისხმიერებით მოეკიდა. ვვარაუდობთ, რომ ფრანგი მეგობრები გვესტუმრებიან აგვისტოში.

გარდა ამისა, საზოგადოებას განზრახული აქვს საქართველოში სტუმრად მოიწვიოს შესანიშნავი ჰოლანდიელი ქალი, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი კორნელია ბოონ ფურბერგი. ქალბატონ კორნელიას ჩვენს სამშობლოში „ქართველების დედას“ უწოდებენ. ომის წლებში მან საარაკო გმირობა გამოიჩინა, ფაშისტებს დაუმალა კუნძულ ტექსელზე აჯანყებული 25 ქართველი ტყვე მეომარი, თუმცა მას სიკვდილი ემუქრებოდა.

ძვირფასო თანამემამულენო! მხოლოდ ქებისა და უღრმესი პატივისცემის ღირსია იმ თანამემამულეთა პატრიოტული საქმიანობა, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევენ საზოგადოებას უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთში მცხოვრები ელენე ცაგარელის პატრიოტული საქმიანობა. იგი დიდი რაოდენობით აგზავნილებს თანამემამულეთა შორის ჟურნალ-გაზეთებს, რომლებსაც მას საზოგადოება უგზავნის.

ასეთივე გულმოდგინებით ეკიდება საფრანგეთში ქართული კულტურის პროპაგანდას ცნობილი იმპრესარიო ილია ჯაბადარი, შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის ძმა. ილია ჯაბადარმა დიდი დახმარება გაგვიწია, რათა ქართული საბალეტო დასი 60 კაცის შემადგენლობით მიეწვიათ საფრანგეთში. როგორც ცნობილია, ნოემბრის დამდეგს პარიზში გაიმართება მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ფესტივალი, სადაც ქართული ბალეტის ოსტატები ფრანგ მაყურებელს უჩვენებენ ორ ბალეტს — „ოტელოსა“ და „გორდას“, აგრეთვე ფრაგმენტებს სხვადასხვა საბალეტო დადგმებიდან.

გულწრფელი მადლობის მეტი რა გვეთქმის საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ლეონტი ბალანჩივაძის მიმართ. იგი საზოგადოების მიერ გაგზავნილ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს აცნობს პატრიოტულად მოაზროვნე გარეკართველებს.

სტამბოლში არის მონასტერი „სავანე“ — ქართული კულტურის თვალსაჩინო კერა. ამ მონასტერს სათავეში უდგას ჩვენი პატრიოტი თანამემამულე პეტრე აყოფაშვილი.

საბჭოთა საქართველოს მიღწევებს კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის დარგებში დაუღალავად აცნობენ თანამემამულეებს არჩილ ჯოხაძე ბელგიაში, ალექსანდრე ბესტავაშვილი ინგლისში და სხვები.

ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ჩვენი თანამემამულე, ვინც სიყვარულით ანთებული დაუღალავად იღვწის მისი კეთილი სახელისა და ღირსებისათვის, ვინც დაუცხრომლად აღვივებს უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის სამშობლოსადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობას. საზოგადოება სულით და გულით მიესალმება ამ ადამიანების შესანიშნავ მოღვაწეობას და კიდევ ერთხელ უხდის მადლობას მათ პატრიოტული საქმიანობისათვის.

ძვირფასო თანამემამულენო! სულ უფრო და უფრო იზრდება პოპულარობა

ურთიერთკავშირი

გაზეთ „სამშობლოს ხმისა“, რომელსაც საზოგადოება სპეციალურად უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის უშვებს. აი რას სწერს საზოგადოებას თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე იბრაჰიმ ივუზი: „ხუთი წელია, რაც თქვენი საზოგადოების მიერ გამოცემულ გაზეთს ვკითხულობ. ჩემს გარდა ამ გაზეთით ბევრი სარგებლობს. სამშობლოს მონატრულები გაზეთის საშუალებით ეცნობით საქართველოს ახალ ამბებს. წელს გაზეთის ვარდა ბევრი ქართული წიგნი მივიღეთ — „დედა-ენა“ და სხვა. ჩვენმა ახალგაზრდებმა „დედა-ენით“ უკვე შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა და თქვენგან გამოგზავნილ წიგნებს კითხულობენ. ამ წიგნებით თქვენ ბევრი იხსენით ქართული ენის დავიწყებისაგან“.

სასიამოვნოა, რომ თანამემამულეებს მოსწონთ სპეციალურად განკუთვნილი რადიოგადაცემებიც. თანამემამულენი მსოფლიოს ყველა კუთხეში გატაცებით უსმენენ ახალ ამბებსა და ინფორმაციას სამშობლოდან. მათ გულს ახარებს ჩვენი ქართული ხალხური მუსიკა. ჩვენი თანამემამულე ასლან ყრუაშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გვწერს: „იმ დღეს მოსვენება არა მაქვს, როცა რადიოში ქართულ სიტყვას და სამშობლოს საყვარელ ჰანგებს ვუსმენ. რაც შეიძლება მეტი მოგვასმენინეთ მუსიკა, — ჩვენი ერის ბულბულის ენით ნაქარგი მუსიკა“. ასეთი წერილები მრავლად აქვს მიღებული ჩვენს საზოგადოებას.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება კვლავაც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითაროს და განამტკიცოს კულტურული კონტაქტები გარექართველებთან, გაღრმავოს მათში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, გააცნოს ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი მიღწევები სახელმწიფოებრივი მშენებლობის, მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

აკადემიკოსი ილია ვეკუა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.



მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და აი რატომ: უცხოეთში, მაგალითად საფრანგეთში დაბადებული ახალგაზრდა, როგორც კი სრულწლოვანი ხდება, იქ არსებული კანონის თანახმად ავტომატურად ითვლება არა უბრალოდ იმ ქვეყნის ქვეშევრდომად, სადაც ის ცხოვრობს, არამედ აგრეთვე ეროვნებით ფრანგად თუნდაც მამამისი ქართველი იყოს და თვითონ იგიც ქართულ გვარს ატარებდეს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეთა უმრავლესობას უცხოეთში საშუალება არა აქვს შეისწავლოს ქართული ენა და წერა-კითხვა, ჩვენი ერის ისტორია და კულტურა, ხოლო ზოგიერთს, განსაზღვრული პირობების გამო, არასრული ან დამახინჯებული წარმოდგენა აქვს ჩვენს დღევანდელ ყოფაზე.

როგორც შევიტყვე, საზოგადოებას საფრანგეთიდან უკვე მოწვეული ჰყავს ორი ახალგაზრდა თანამემამულე საქართველოში სასწავლებლად. ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, ასეთი ახალგაზრდების რიცხვი მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოება, სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები არ მოაკლებენ მათ მშობლიურ სითბოსა და სიყვარულს, არ დაიშურებენ ცოდნასა და ენერგიას, რათა მისცენ ახალგაზრდა თანამემამულეებს შესაფერისი განათლება, რასაც, იმედი გვაქვს, თავისი ერის, თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოიყენებენ ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

ეფრემ მეორე,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ საქმე, რომელსაც ეს საზოგადოება ეწევა, წმიდათა-წმიდა, მამულიშვილური საქმეა. არ გვმართებს თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ჩვენი მოყვასი, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო დროებით მოსცილებია საყვარელ სამშობლოს და უცხოეთში გადახვეწილა. ყველა ჩვენგანის ვალია დავეხმაროთ, ავუხსნათ, ჭეშმარიტების გზაზე დავაყენოთ ისინი.

ამ საქმისათვის არ უნდა მოვერიდოთ მატერიალურ ხარჯებს, არ უნდა დავზოგოთ დრო და ენერგია. უფრო ხშირად უნდა მოვიწვიოთ სტუმრად უცხოეთიდან ჩვენი თანამემამულენი, მამაშვილურად, გულახდილად ვესაუბროთ მათ, ვაჩვენოთ ყველაფერი, თორემ, როგორც მე ვიცი, ბევრ რამეზე, რაც ჩვენში ხდება, არასწორი წარმოდგენა აქვთ.

მაგალითად, მე ხშირად მეკითხებოდნენ: მთავრობამ ხომ არ დაანგრია ტაძრები და მონასტრები, ხომ არ დახურეს ისინი ჩვენი მრევლისთვისო. თქვენ შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ ასეთი შეკითხვები, მაგრამ ტყუილა მათ ვიღაცამ ჩააგონა ეს შეუძლებელი ამბავი და იმათაც დაიჯერეს. როცა აქ მოვლენ და საკუთარი თვალით ნახავენ, მაშინ დარწმუნდებიან ჭეშმარიტებაში.

აქ ლაპარაკი იყო, რომ საზოგადოება აპირებს უცხოეთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის გამოსცეს სპეციალური „დედა ენა“ და წიგნაკები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. ნება მოგვეცით ამ წიგნაკების გამოსაცემად საჭირო თანხის ნაწილი ჩვენმა ეკლესიამ გადაიხადოს, რათა ამით თავისი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილურ საქმეში.

მწერალი ლევან გოთუა

მთელი ჩვენი ქვეყანა, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს ღირსეულად აღნიშვნისათვის. ცხადია, ამ დიდი ზეიმის ცენტრი თბილისი იქნება. აქ მოიყრიან თავს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი პოეტები, მწერლები, ლიტერატურის მცოდნეები. სახელმწიფო საიუბილეო კომიტეტის მიერ ამ ზეიმზე მოპატიჟებულია მრავალი უცხოელი ქართველოლოგი, რომელნიც უანგარიშოდ შრომობენ ქართული კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციისათვის საზღვარგარეთ. ასპირანტურა ზეიმზე ჩამოსულ სტუმართა შორის ვიხილოთ ჩვენი თანამემამულეებიც, მათ შორის **ვ. ნოზაძე, გერიძე, სალია** და სხვ. ვფიქრობთ, ეს კარგი საქმე ჩვენმა საზოგადოებამ — უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ უნდა იკისროს.

პროფესორი კაკაბა გუგუშვილი

საზღვარგარეთ მრავალგზის ყოფნისას შევხვედრივარ ბევრ თანამემამულეს, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ ჩამოვიდნენ სტუმრად საქართველოში, მაგრამ მოგზაურობისათვის საჭირო თანხები არ გააჩნიათ. ასეთ ადამიანებს ჩვენი საზოგადოება უნდა დაეხმაროს. საერთოდ, უცხოეთიდან სტუმრად მოწვეულ თანამემამულეთა რიცხვი მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. დაე მათ საკუთარი თვალით ნახონ და დარწმუნდნენ ყოველივე იმის სინამდვილეში, რასაც ჩვენი გაზეთისა და რადიოს საშუალებით ან პირადი შეხვედრების დროს ვეუბნებით.

საზღვარგარეთ არის მცირერიცხოვანი, მაგრამ აუცილებლად ანგარიშგასაწევი რაოდენობა თანამემამულეებისა, რომელიც უანგაროდ ემსახურებიან ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს. ამ ადამიანებს აგრეთვე ესაჭიროებათ დახმარება არა მარტო ლიტერატურით, არამედ ისინი უნდა მოვიწვიოთ სტუმრად საქართველოში, რათა საშუალება ჰქონდეთ შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს, ისარგებლონ ჩვენი მდიდარი ბიბლიოთეკებითა და არქივებით და, რაც მთავარია, ახლოს გაეცნონ დღევანდელ საქართველოს, მის მკვიდრთა ყოფაცხოვრებასა და მისწრაფებებს, რათა თავიანთ შემოქმედებაში მუდამ მყარ ნიადაგს ეყრდნობოდნენ.

მწერალი რევაზ თაგუაშვილი

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს გარდა, საზოგადოებას აქტიური მიმოწერა აქვს ჰოლანდიაში და საფრანგეთში მცხოვრებ პარტიზანებთან, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენს თანამემამულეებთან ერთად იბრძოდნენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. მათი საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა მოვუთხროთ რესპუბლიკის მშრომელებს მრავალი ჩვენი თანამემამულის გმირული ბრძოლის მაგალითებზე. მათ პატრიოტულ საქციელზე უკვე ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაში. მომავალში კიდევ უფრო მეტი დაიწერება. განზრახულია სპეციალური კინოფილმების გადაღებაც საზღვარგარეთის ქვეყნებში მებრძოლი ქართველი პარტიზანების შესახებ. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ უცხოეთში მცხოვრებ გარექართველებს, რომელთაგან ბევრი თვითონ იღებდა აქტიურ მონაწილეობას პარტიზანულ ბრძოლებში. ვფიქრობ, ისინი გამოეხმაურებიან ჩვენს თხოვნას და მოგვაწვდიან საინტერესო დამატებითს ცნობებს.



სურათზე: პლენუმის სხდომათა დარბაზში.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას

წერილი სოფოდან

დიდად პატივცემულო რედაქტორო!

მოგმართავთ რა მოკრძალებით და ქართული მშობლიური სალმით, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე ამ ჩემი პირველი პატარა წერილით შეწუხებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთიმეორეს დაშორებული ვართ დიდი მანძილით და არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაინც იმედი მაქვს მომისმენთ და ყურადღებას მომაქცევთ როგორც თქვენს თანამემამულეს.

უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთში მოხვედრილ ქართველობას დიდი ხნის განმავლობაში მშობლიურ ენაზე არ საიდან არა გვესმოდა რა. უიმედობამ დაისადგურა თვითეული ჩვენგანის გულში. არ გვქონდა საშუალება ჩვენც დავკავშირებოდით ჩვენს სამშობლოს, სადაც გვეგულებოდნენ საყვარელი მშობლები, და-ძმები და მრავალი მეგობარი.

მაგრამ მოხდა სასწაული და დედა-სამშობლომ მოგვაწვდინა ტკბილი მშობლიური ხმა. მივიღეთ ქართული ლიტერატურა. განსაკუთრებით თქვენმა გაზეთმა გვაუწყა ბევრი სასიხარულო ამბავი ჩვენი სამშობლოს ცხოვრებისა, რამაც ყოველი თანამემამულის დაჩაგრულ გულში გამოიწვია სიხარულისა და სიამაყის გრძნობა, აგვინთო იმედის ბაებრწკალი მომავალი არსებობისა, აგვამაღლა და გაგვამხნევა სულიერად. ერთი სიტყვით, გაგვახარა დედა-სამშობლოს სწრაფმა ზრდამ და ჩვენი მშობლიური ეროვნული კულტურის წარმატებით აყვავებამ.

შეუძლებელია, რომ ქართველი, სადაც უნდა იყოს იგი, მშობლიურ ენაზე წაკითხულით არ აღელდეს, ამ წაკითხულმა მის გულში აღფრთოვანების გრძნობა არ გამოიწვიოს, არ გაწმინდოს მისი დაობლებული სული — უდავოა, რომ ეს სულიერი განცდები გახლავთ კანონი ჩვენი საერთო ქართული ბუნებისა.

დრომ სწრაფად გაირბინა. სარწმუნოა, რომ ჩვენს საოცნებო სამშობლოში ომის შემდეგ ბევრი ძველი კანონი და წესი შეიცვალა.

დღეს თქვენი გაზეთი „სამშობლოს ხმა“, ვფიქრობ, უსათუოდ დიდ ეროვნულ კულტურულ საქმიანობას ეწევა. აქედან ცხადია, რომ მისი დამაარსებლები და თანამშრომლები ქართული წმინდა სულის კარნახით, ქართული მამულიშვილური გულშემატკივრობით ზრუნავენ თავიანთი შორეული ბოძმეების კეთილდღეობისათვის.

ეს გარემოება იწვევს მადლობის გრძნობას სამშობლოში მყოფ მოძმეებისადმი, რომლებიც ეწევიან ამ კეთილ საქმეს, რომლებსაც ჩვენი საყვარელი სამშობლო მიჰყავთ შეუნელებლივ აყვავების გზაზე.

ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენი დღევანდელი ახალი აყვავებული სამშობლო ემზადება დიდი ზეიმისათვის, რომ მიმდინარე წელს გაუმართავს დაბადების რვაასი წლისთავის იუბილეს თავის სახელოვან უკვდავ შვილს შოთა რუსთაველს.

ეს ხომ ჩვენი საერთო ქართული ეროვნული კულტურის ზეიმი იქნება, რომელსაც ქართველი ერი პირველად ახდენს თავის ხანგრძლივ ისტორიაში. ამ ზეიმს უსათუოდ დაესწრებიან მსოფლიო კულტურის მოწინავე უცხოელი სტუმრები ქართველი ერის და მისი კულტურის პატივსაცემად.

მე ვფიქრობ, რომ მშობლიური ერის ეს დიდი ზეიმი, ზეიმია ყველა ქართველი კაცისა, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი. ეს ზეიმი იქნება ქართველი ერის სიცოცხლის, მისი დიდებისა და კულტურისა. როგორ უნდა მოითმინოს შეგნებულმა ქართველმა კაცმა, რომ ამ ზეიმს არ გამოეხმაუროს ორიოდე სიტყვით მაინც, თუ იგი სამშობლოს დიდებას, მის ღირსებას, მის წარსულსა და მომავალს პატივსა სცემს, თუ იგი მშობლიურ კულტურას ემსახურება და თაყვანსა სცემს. ჩემთვის ეს ყოველივე წარმოუდგენელია.

პატივცემულო რედაქტორო!

მე, როგორც პატარა ქართველი კაცი, სულითა და გულით ჩემი სამშობლოს ყველა სიკეთის პატივმცემელი და მოტრფიალე, გთხოვთ ნება დამთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვით გამოვეხმაურო ჩვენი საყვარელი ერის ამ ისტორიულ დღესასწაულს.

ამ მიზნით ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩემს მიერ შეთხზულ ლექსებს, მიძღვნილს დედა-სამშობლოსადმი, შოთა რუსთაველისადმი და მისი ვეფხისტყაოსანის თანამედროვე მკვლევარებისადმი.

დარწმუნებული ვარ ჩემს იმედს გაამართლებთ და გამოაქვეყნებთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე, რისთვისაც წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

სულითა და გულით გისურვებთ წარმატებებს თქვენს მიერ დაწყებულ კეთილ საქმეებში. ჩემდათავად გავიმეორებ ძვირფასი თანამემამულის ლ. გოთუას სიტყვებს:

„დაე შოთა რუსთაველის ჯადოქრული ნაგალობარი დედამიწის ყოველ კუთხეში ვიგულვოთ ჩვენ საერთო ქართულ ენად, ხიდად, წეიგნად და მიწად! ხოლო შესაფერ ვითარებაში დაე იგივე „ვეფხისტყაოსანი“ იყოს დიდი მეკვლე სამშობლოში დასაბრუნებლად“.

მე კი დავუმატებ: დაე დღეგრძელობდეს და ყვავილობდეს დედა-სამშობლო, მის თანამედროვე შვილებს, სადაც უნდა იმყოფებოდნენ ისინი, შეჰმატებოდეთ სულის ძლიერება, ნიჭი, უნარი და შემართება — სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

გაუმარჯოს ახალ დედა-საქართველოს!

ქართული მშობლიური სალმით

დ. ნ. ქიმერიძე.

საფრანგეთი.

სოშო. 15. 5. 66 წ.



შ. რუსთაველის ახალ სერთთან

კრძალვით გიმზერ, დიდო ბრძენო,
ჩემი ქვეყნის ჩირაღდანო,
ნება მომეც შენს ხატებას
მივესალმო, ვეთაყვანო.

გხედავ უკვე გათეთრებულს
მოხუც პოეტს, სულით ძლიერს,
აფრქვევ ღვთისგან მინიჭებულს
უხვ მადლსა და ნათელ იერს.

მაღალ ზენით მოვლენილო
ქვეყნად კაცთა საკვირველად,
სიცოცხლის და სილამაზის
და ბრძნულ აზრთა საძირკველად.

გიცან, ის ხარ, ქართულ ცაზე
ვარსკვლავი რომ არა ქრება,
საუკუნოდ რომ გვიმკვიდრე
სიცოცხლე და ნეტარება.

სოფელს უდროდ შემომწყრალო,
არ ვიცოდით, სად შეჩერდი,
სდუმდა შენი ტკბილი ჩანგი,
შენებურად რათ არ მღერდი?

დაგეძებდით ამ ხმელეთზე,
ქვესკნელში და მაღლა ცაში,
როგორც იქნა მიგაგენით,
გპოვეთ უცხო ქვეყანაში.

ორთავ მუხლზე დაჩოქილხარ,
მუხთალ ბედზე დანდობილი,
სრულ რვაას წელს გილოცია
მაღლა ხელებაპყრობილი.

მიტოვებულ სატრფოს ბედზე
გიტირია, გიგლოვია,
გოლგოთასთან ქრისტეს ახლო
მყუდრო ბინა გიპოვია.

დარდ-ნაღველის შავ კოცონზე
უპატრონოდ დადაგულხარ,
ქართველთ წმინდა სავანეში
დაუტირლად დამარხულხარ.

დღეს იპოვეს, გაამზევეს
შენი ხატი სახელწმინდა,
ნათელი რომ მოგვაშუქე
სამშობლო კვლავ გაგვიბრწყინდა.

შენ რომ ძეგლად დაგვიტოვე
ოქროს წიგნი საგოგმანო,
შენი ქვეყნის სარკედ იქცა
და მკვლევართა სათაყვანო.

ჩვენ დროს მოსდევ მამაცურად,
როგორც სულის წინამძღვარი.
ქართულ ცაზე აწერია
სახელი და შენი გვარი.

შენს ნათელით დედულ-მამულს
ცა ლაჟვარდი მოელობრა,
შენი სიბრძნე საზღვარს გასცდა,
უცხოეთიც კი მოხიბლა.

თამარის დროს არ გაღირსეს
არც სახელი, არც დიდება,
ვერ გაიგეს, შენ რომ იყავ
ერის სულის უკვდავება.

დღეს ყოველი გესალმება,
ტანჯვა აღარ გაიხსენო,
დედულში გაქვს თბილი ბინა
რომ დაწუნარდე, დაისვენო.

გთხოვთ გვიბერტყო მადლის კალთა,
გაგვიბრწყინდი, არ იბინდო,
ეხლა გელის ოქროს თასი
დაფნ-გვირგვინი, დიდი ჯილდო.

აგვიყღერე ოქროს ჩანგი
მოგვაღვარე სიბრძნის წყარო,
კვლავ დაგვატკბე, დაგვაშარე,
ქართულ სიტყვის ჯადოქარო.

ჩვენ სამშობლოს სადიდებლად
და მომავლის გასაჭვრეტად
აღიმართე მთაწმინდაზე
უკვდავების ნათლის სვეტად.

მორჩი ლოცვას წინაპარო,
ბრძენო, სულის მნათობელო,
დაბადების ზეიმს გიხდის
დღეს ახალი საქართველო.

ქ. ბეჭანსონი.

17/9 — 1962 წ.

ვარდის წიგნი

დ. ქიმერიძე

ვუძღვნი ჩემს თანამემამულეს, ვეფხისტყაოსნის მკვლევარს ვ. ნოზაძეს

ის მლოცველია დღე და ღამე სულის ტაძარში,
მუდმივ უნთია ჩაუქრობი სულთქმის კანდელი,
იწვის სულ მარტო აღვივებულ გრძნობის ხანძარში —
დიდი ოსტატი, დასტაქარი, სიტყვის დამცველი.
იმოგზაურა; სად არ იყო, სად არ იარა;
მოძებნა, ჰპოვა დაფარული ყველა საბუთი,
ძველი სიწმინდე ახალ აზრით გაგვიზიარა
და გადაგვიხსნა რუსთაველის გული სათუთი.
სიბრძნის წყაროდან ამოკრიფა მარგალიტები,
ფაქიზად ჰკონა ვარდის წიგნი სურნელოვანი,
მოგვცა, გვაჩვენა ურიცხველი მაგალითები
და გზა ნათელი, გარდასული, რვაასწლოვანი.
ჩვენ იქ შევიტყეთ, რუსთველი რომ ქართლის კაცია;
რჯულით, აზრებით, შემოქმედი ქრისტიანია,
ცხოვრების სიბრძნე, რომ მიწიდან აუტაცნია
და პოეზია მაღლა ცაში აუტანია.
იქ სინამდვილე საუკუნეს მრავალს გაუძლებს,
იქ კამათობენ უძველესი ბრძენთა დასები;
მოგაჯადოებთ და ემთხვევით, დალოცავთ ფურცლებს
და ოცნებები დაგბეტყვევებთ მთელი არსებით.
ჰა — რისთვის იყო იგი ხშირად ღამის მთევარი,
სულის სცენაზე აიმართა ძლევის ალმით;
დღეს ცნობილია ქვეყანაზე როგორც მკვლევარი,
თვით მეცნიერიც პატივს სცემენ წრფელი სალამით.
ჩვენც გვიხარია: გვერდს მიუდგა ჩვენს სულის ბურჯებს,
მისი ხმა გვესმის ღვთიურ-წმინდა სამლოცველოდან,
ვხედავთ, ამშვენებს უკვდავების ნათელ საუნჯეს
შვილი, მადლსავსე რუსთაველის საქართველოდან.
ვუსურვოთ ჰკონოს ვარდის წიგნი კიდევ მრავალი,
იყოს დღეგრძელი, გაახაროს დედა-მშობელი,
გახსნას წარსული, გააშუქოს გზა მომავალი,
სამშობლომ უთხრას ქება, დიდი სამადლობელი.

სოფო.

5/1 — 66 წ.

ჩემს დედულეთს

გაჩენის დღიდან შენ გეკუთვნი ყოვლად, სავსებით,
არსებით, ფიქრით, მოქმედებით, სულით, ზნეობით,
უშემწეობით ვწუხვარ, შენ მკერდს მაშორებს წლები,
სულთქმის გაძლებით დღე-ღამ ტკბილად გებაასები.
შენთან მაქვს ფესვი, შენში სუფევს ჩემი ყოველი,
თვალებ სოველი, დარდ-ნაღვლითა ვარ დაჩაგრული,
ძველ სიყვარულით მე ვარ შენი ძუძუს მწოველი,
შენ ხარ ქომაგი, მზე, სიცოცხლე და სიხარული.
ვიცი, რომ იცავ შენს სიცოცხლეს სიმართლის ხმალით,
ეკლებზე გავლით შენს ყოველ შვილს კალთას აფარებ,
მტერს არ ახარებ, აჯადოებ იდუმალ ძალით,
როგორც უფალი შენ ღირსეულ სახელს ატარებ.
ქვეყნად ადგილი ლამაზი გვაქვს, დაუფასები,
ტრფობის თასებით გლოცავ ხშირი ღამისმთეველი,
ველი, აღზარდე პარნასელთა კიდევ დასები;
თვალმალხაზები, ქველნი, სულით დაუძლეველნი.
გიგონებ, შენზე ოცნებები მაქვს სევდიანი.
შავბედიანი, შენს დიდებას მეც სულით ვჭედავ,
სხვამ თუ გაბედა, რომ გაგიშროს ძუძუ რძიანი,
მეც ავზნიანი მტერს დავთრგუნავ, ძვირფასო დედავ.
მსურს დღეგრძელობდე, იზრდებოდე, მუდამ ხარობდე,
არა მწარობდე, შენი კვნესა არასდროს მოხდეს,
შვებასა გრძნობდე, ლამაზობდე, ყველას უყვარდე,
სულ ყვავილობდე, სულ მზეობდე, როგორც სამოთხე.
ჩემო დედულო! გთხოვ მაღირსო შენი ალერსი,
ზეუტკბილესი, მშობლიური, მადლით მოსილი,
ხარ დალოცვილი ჩემს ოცნებით, მგოსნური წესით,
ქართული ლექსით გესალმები შორიდან შვილი.

სოფო.

10/5 — 66 წ.

სრემლი და ლოდინი

ომის ნაკვალევზე

ჩვენ ყველანი, ვისაც ახლა ოცდახუთ-ოცდაექვსი წელი შეგვისრულდა, ძალიან პატარები ვიყავით მაშინ. თვალ-ცრემლიანი დედები გვიმღეროდნენ ნანას, ბებიები და ბაბუები გაუღიმარი სახით გვირწევდნენ აკვანს...

...მზიაც მხოლოდ 1 წლისა იყო 1941-ში.

იმ ჯგუფში, რომელიც ამ 25 წლის წინათ სოფლიდან გავიდა, ერთი მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი ერია.

ფახულანის გორაკებსაც მოეწყინათ თითქოს...

— ოჯახებს ჩვენ მივხედავთ, შენს გაშენებულ ჩაის ბუჩქებსა და ზვრებსაც მოვუვლით, ალიოშა, ნუ გეშინია! — ჰპირდებოდნენ შინ დარჩენილნი მტერთან საბრძოლველად მიმავალ სოფლის აგრონომს.

ოლორი, ანკარა ოლორიც ჩუმად მიწუწკარებდა რიყის ქვებს შუა.

პატარა მზია ტიროდა. თვალცრემლიან ქალს მიხუტებოდა მკერდზე...

მეგრული ოდა-სახლის წინ კი ეზოში მოხუცი დედა იდგა ქანდაკებად ქცეული...

უკვე შორს გორაკს გადადიოდა მისი შვილი ალიოშა შონია.

* * *

— „სევასტოპოლი სსრ კავშირის გასაღებია!“ — ამბობდნენ ფრიცები და მთელი გრიგალი ცეცხლისა მიმართეს მისკენ.

ათასობით ყუმბარას იმსხვრევდა სხეულზე ათასჭირნახი ქალაქი...

მალახოვ კურგანს ცეცხლი ეკიდა, ისტორიულ ჩირაღდნად ეხოთ ქალაქის თავზე.

ქალაქს საბჭოთა ჯარები თავგანწირვით იცავდნენ.

სახმელეთო ჯარებს გენერალ-მაიორი პეტროვი უძღვებოდა, ქალაქის დაცვას უშუალოდ ვიცე-ადმირალი ოქტიაბრსკი ხელმძღვანელობდა.

დუღდა ზღვა. ხომალდთა თავზე იმსხვრეოდნენ ჰურვები, თვითმფრინავები, იბრძოდნენ ბელორუსები, ლიტველები, ყაზახები, სომხები და ქართველები...

ყირიმის ზვრებს ყუმბარები ხნავდნენ...

ყირიმის მთები იერიშებს იგერიებდნენ.

...რვა თვეს გმირულად იცავდნენ ადამიანები ფერფლსა და ნაცარს! რვა თვეს ჩამოსდიოდა სისხლისა და ოფლის ნიაღვარი საპუნ-გორის კალთებს.

ზღვასაც კი შესცვლოდა ფერი, რუხი ტალღები ეხეთქებოდნენ ნაპირებს...

სამჯერ მიიტანეს იერიში მტრებმა გმირ ქალაქზე, სამჯერვე უკუგდებულ იქნენ ისინი.

და, ბოლოს, 1942 წლის 4 ივნისს საბჭოთა ჯარების უმაღლესი სარდლობის ბრძანებამ „გააკეთა“ ის, რაც 300 ათასმა ბრძოლის ველზე დაცემულმა და ტყვედ ჩავარდნილმა ჯალათებმა ვერ გააკეთეს — საბჭოთა ჯარებმა დატოვეს სევასტოპოლი...

...ჯერ კიდევ მაისის ბოლოს, სანგარში იჯდა ალიოშა შონია, ბელორუსიის მე-2 არმიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეკავშირეს ცალ ხელში ყურმილი ეჭირა, ცალში კალამი და წერილს სწერდა მეგრული ოდა-სახლის წინ ეზოში მდგარ შვებით მოსილ დედას და ატირებულ მზიას, დედის მკერდს რომ მინდობოდა...

...ახლა ოთახის კუთხესთან ზის და თვალები ცრემლებით აქვს სავსე.

მაგიდაზე დროჟამისაგან გაყვითლებული გვერდებშეცრეცილი წერილების დასტა ყრია...

სამკუთხად ნაკეც გარეკანზე ყველას ერთი მისამართი აწერია: „საქართველოს სსრ, ს. ფახულანი. ქენია შონიას“. შემდეგ გაკრული ნაჩქარევი ხელით: „მოჭმედი არმია 1447-952 (...) 1 დივიზიის მესამე ქვეგანაყოფი“.

ჯერ კიდევ ასდით მათ თოფისწამლის სუნი.

— 47-ში ცოცხალი ყოფილაო... — ამბობს მზია...

ვინ იცის ეს სინამდვილეა, თუ ვინმე კეთილი კაცის მონაჭორი.

უგზოუკვლოდ დაკარგულის დედა კი სათუთად ინახავს შვილის უკანასკნელ წერილს:

„დედა, როგორა ხარ? ნუ გეშინია, მე მალე ჩამოვალ და ყველაფერი კარგად იქნება. ამ წერილს სანგარში ვწერ. მტერი გვიტევს. ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ! მალე დაგიბრუნდები, დედიკო, ნუ სტირი!.. მეჩქარება. გკოცნი!

შენი ალიოშა“.

...დაჰპირდა და ჯერაც არა ჩანს... ჩემმა ალიოშამ ტყუილი არ იცოდაო. უკვირს დედას...

ომმა გაატეხინა ალბათ სიტყვა...

...პატარა ალიოშა მზიას კალთას ეწევა, უკვირს, მშობელი რომ ტირის...

—ბაბუას სახელი დავარქვით... ამბობს მზია. ახლა ის ორი შვილის დედაა, მამის წასვლის დღეს რომ ტიროდა...

მაშინ ბევრნი ტიროდნენ ასე. კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს თვალებდაჭყეტილნი უყურებდნენ და უფროსები ეუბნებოდნენ...

— ეს მამაშენიაო!

...**გამარჯვების** ოცი წლისთავზე ქენია შონიას ომში დაღუპულთა სიის შედგენა სთხოვეს, ქენიას, ალიოშას მეუღლეს, მზიას დედას...

მან, სასოფლო საბჭოს მდივანმა, ყველა შინმოუსვლელს შეუდგინა „პირადი საქმე“ და... ალიოშა გამოტოვა...

— მერე და იქნებ დაღუპული არ იყოს?!

ოჯახი ყოველდღე მოელის მას... დედა ყოველდღე წმენდს და უვლის შვილის შინ დარჩენილ „**ცარსკებსა**“ და ტანისამოსს. რომ ჩამოვა, დასჭირდებაო შორგზაგამოვლილს...

ალიოშას ძმას ჰიჭიკო შონიას იმ წელს დაყენებული ოჯალეშით აქვს ქვევრი სავსე.

— როცა ჩამოვა, მხოლოდ მას უნდა მოვახდევინოო.

მე წერილებში ქუქურის მეძახდა... როგორ მინდოდა მეც ერთხელ მაინც სიცოცხლეში დამეძახა მისთვის, მამა ჩემო მამიკო-მეთქი... — ამბობს მზია.

...რამდენს არ ღირსებია ეს ბედნიერება...


დაწყევლილი ომი...

— მგონია, დღეს იქნება თუ ხვალ სერჟანტის ფორმაში გამოწყობილი შემოვა ეზოში! მეუბნებიან, ძალიან გავხარო. ალბათ ვიცნობ, სევასტოპოლი, საპუნგორა, მალახოვ კურგანი — იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იქ მამა იბრძოდა ჩემი, და რაღაცნაირად მახლობელნი არიან ჩემთვის, ფახულანივით მახლობელნი... — ჩუმად ჰყვება მზია და ცრემლები ამ წერილებს ასველებენ, რომლებსაც გვერდები შემოსცრეციათ და ნაჩქარევი გაკრული ხელით აწერია: „სევასტოპოლი, მოქმედი არმია...“

— **ახლა** სევასტოპოლში, იქ, სადაც ძველი სანგრები იყო, ხე დგას ცალკე შემოღობილი — „ომს ეს ერთადერთი გადაურჩაო“ — ამბობენ აქ.

ხე ხეა, ადამიანებს კი ასე ადვილად ვერ მოხრის სიკვდილი, იგი სიკვდილზეც ძლიერია! ამიტომ ელოდებიან დედები შვილებს, შვილები მამებს.

ზაურ ფიფია.



სურათზე: ალ. შონია.

ივერიის მღვიმეში... ელმავლით

რამდენიმე წლის წინათ ქართველმა სპელეოლოგებმა ახალ ათონში ივერიის მთაში აღმოაჩინეს ზღაპრული მღვიმეები. ამ მღვიმეებში შესვლა შეიძლება ღრმა ორმოთი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „უძირო ორმოს“ უწოდებენ. მიწისქვეშა სასახლეში, რომლის საერთო სიგრძე 1.500 მეტრს აღემატება, არის ცხრა დარბაზი, რომელთა სიმაღლე 10 მეტრიდან 70 მეტრამდე აღწევს. დარბაზები ერთმანეთთან შეერთებულია სხვადასხვა სიგანის დერეფნებით. დარბაზებს ამშვენებს უამრავი სტალაგმიტი და სტალაქტიტი. ერთ-ერთ დარბაზში ტბა არის.

ეს ფანტასტიკური მიწისქვეშა სასახლე ახლა ხელმისაწვდომია მხოლოდ გამოცდილი სპელეოლოგებისათვის, მაგრამ უახლოეს მომავალში ამ დარბაზებს ნახავს ყველა მსურველი.

საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა შეიმუშავა ივერიის მღვიმის ათვისებისა და კეთილმოწყობის პროექტი. აი რა უამბო საქდესის კორესპონდენტს პროექტის მთავარმა არქიტექტორმა თეიმურაზ მარკოზაშვილმა:

— პროექტით გათვალისწინებულია დერეფნების გაფართოება, ბილიკების გაყვანა ქვეითად მოსიარულეებისათვის. მღვიმეებს გაანათებს ნათურები, რომელთაც ადამიანის თვალი ვერ დაინახავს. შუქის ეფექტი კიდევ უფრო მეტ სილამაზეს მისცემს მღვიმეებს.

ივერიის მთის ძირში აშენდება ორსართულიანი შენობა, რომლიდანაც გვირაბი გავა მღვიმეებისაკენ. საშახტე ტიპის ელმავალი კილომეტრნახევრიანი გვირაბით წაიყვანს რამდენიმე სამგზავრო ვაგონს. დაამთავრებენ რა მღვიმეების შემოვლას, ტურისტები ელმავლითვე დაბრუნდებიან სადგურში.

სამუშაოთა ვრცელი კომპლექსი ითვალისწინებს საბაგირო გზის მოწყობასაც. გზა კურორტის ქვემო ნაწილს დაუკავშირებს ივერიის მთის მწვერვალს, საიდანაც ახალი ათონის შესანიშნავი პანორამა იშლება.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება დავალებული აქვს „თბილისგვირაბმშენს“. სამუშაოები წელს დაიწყება.



აქ შენ ცხოვრობდი მეგობარო

სურათზე: ქალაქ სიღნაღის ერთ-ერთი კუთხე.

თანტოღანელი ქართველი



ასტუმრო „თბილისის“ კაფეში ოთხნი ვსხედვართ, ოთხივე ქართველები. ოფიციანტისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. რა მოხდა, აქ ყოველთვის შემოდიან თბილისელები, საუზმობენ და შემდეგ, ასევე ჩვეულებრივად მიიჩქარიან ხოლმე თავიანთ საქმეებზე. როგორც იტყვიან, — „ხუთი წუთის“ კაფეა. ჩვენც მცირე ხნით შემოვედით აქ. ერთი ჩვენგანი რამდენიმე საათის შემდეგ უცხოეთისაკენ მიმავალ გრძელ გზას უნდა გასდგომოდა.

ოფიციანტმა ეს, რასაკვირველია, არ იცის.

ჩვენ ვიცით, და ამიტომაც ვცდილობთ შევუმსუბუქოთ იქით მიმავალ ქართველ კაცს გულზე შემოწოლილი სევდა...

ის ჩემგან ხელმარჯვნივ ზის. თმაშეერცხლილ შუახნის ვაჟკაცს თვალში სევდა ჩასდგომია. დედა-სამშობლოში სტუმრად ყოფნის შემდეგ მან უნდა დატოვოს ახლა ეს მიწა-წყალი. ქართველი მიდიოდა საქართველოდან, რათა მისებრ უცხოეთში გადახვეწილი ქართველებისათვის ჩაეტანა თავისი ქვეყნის აბორგებული სიყვარული და... ცრემლი. იქ ხომ ცრემლმომდგარი თანამემამულეები სულმოუთქმელად ელიან მშობლიური მიწის ამბებს.

იბრაჰიმ გორაძე, ქართველი. დაბადებულია 1914 წელს საქართველოში. 1939 წლიდან თურქეთის ქვეშევრდომია. ცხოვრობს ქ. მუშის რაიონის სოფელ ალიზურუმში (თანტოღანი).

გულახდილი საუბრით ვცდილობთ ფარდა ავხადოთ ამ მშრალ ციფრებს თუ ფაქტებს. ჩვენს გარდა მაგიდას უსხედან უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკი გ. კავთიაშვილი და ჩამოსული ქართველის ბიძაშვილი ბათუმელი ქაზიმ გორაძე.

— რაღა დაგმალოთ და, მთელი იმ 27 წლის მანძილზე, რაც კი თურქეთის მიწაზე გავატარე, ჩემს ქვეყანაზე ვფიქრობდი, — ამბობს იბრაჰიმი. — ვეძებდი გზას, რომელიც საქართველოში დამაბრუნებდა და ისევ სრულუფლებიან ქართველად მაქცევდა. ვეძებდი გზას, ისევ ჩემი ხალხის სამსახურში რომ ჩამაყენებდა, მთელს ჩემს ოჯახს ადამიანურ შვებასა და ეროვნულ სიხპეტაკეს დაუბრუნებდა. ხშირად თავის ქალაც კი ამხდია მტანჯველი ფიქრისაგან: ეგებ იმდენად დიდი დანაშაული მიმიძღვის ერის წინაშე, რომ ვერაფრით გამოვისყიდე და უმჯობესია სიცოცხლე უცხოეთში დავასრულო-მეთქი?! აჭარაში დავიბადე და გავიზარდე. ხიყმაწვილეში აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა დამდგარიყო დღე, როცა

სტუმრად სამშობლოში

◆

გამოვეთხოვებოდი სამშობლოს და გადახვეწილ ქართველთა რიგებში აღმოვჩნდებოდი.

რასაკვირველია, პირველად ძალიან გამიჭირდა. მაგრამ შრომით მაინც მოვახერხე თავის გატანა და მალე დავცოლშვილდი კიდეც. ქართული ოჯახი შევქმენი. მყავს რვა შვილი — ხუთი ბიჭი და სამი გოგო. ხელობით დურგალი ვარ. ვაკეთებ ავეჯს. მაქვს პატარა მეურნეობაც. იქ ქართველებს თითქმის ყველას გვაქვს ბაღ-ბოსტანი. სოფლის მეურნეობას მივხედავთ. ვცხოვრობთ საშუალოდ. ეკონომიური დონის მხრივ თითქოს ბედს არ უნდა ვუჩიოდეთ. მაგრამ აბა ერთი ჰკითხეთ ჩემსავით ბედკრულ რომელიმე ქართველს. განა ცა და მიწა მისცემს ან აუნაზღაურებს იმას, რაც სამშობლოში დაგვიტოვებია? არ იფიქროთ, რომ მე სპეციალურად მომზადებულ ფრაზებს გეუბნებით. გულახდილად ვამბობ, ისევე როგორც ჩემს ადგილზე მყოფი თურქეთში მცხოვრები რომელიმე ქართველი გეტყოდათ: შავ პურსაც კი დვჭერდები ოღონდ ჩემს მამაპაპურ მიწაზე დავბრუნდე, მიტოვებულ ნათესავ-მეგობრებს შევხვდე და მათთან ერთად გავიზარო ყველაფერი...

საუბარი უშუალოდ და გულწრფელად მიმდინარეობს. თურქეთის ემიგრაციაში მყოფი ქართველები მწყურვალივით იტაცებენ ყოველივე ქართულს. სოფელ თანტოღანში ჩვენი გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი მიდის. და უნდა ნახოთ თურმე მთელი სოფელი რომ შეიკრიბა, იბრაჰიმს შემოეხვევიან და აცრემლებულნი ისმენენ საყვარელი სამშობლოდან მოსული გაზეთის თვითეულ სიტყვას.

ძალიან გთხოვთ დასწეროთ, რომ მე, თანტოღანელმა ქართველმა, ჩემი თვალით ვნახე ახალი საქართველო, თბილისი, ბათუმი, — განაგრძობს იბრაჰიმი. — შევხვდი ნათესავებს, ჩემს მიწას და ნამდვილად ისეთად შევიგრძნე, როგორსაც მოველოდი. მე ხომ აქ სამშობლოს მხრივ სიყვარულისა და ნდობის დამსახურებისათვის ჩამოვედი. ცრემლით შევხვდი და ცრემლითვე ვშორდები იმათ, ვინც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მშობელ ხალხს გაქცეული ქართველი კაცი უთვისტომო და უბედურია, რა მდიდარიც უნდა იყოს იქით — უცხოეთში... მით უმეტეს, რომ მე არ ვეკუთვნი მდიდრებს. მთელი ჩემი სიმდიდრე ის რვა შვილი და ხუთი შვილიშვილია, ალიზურუმში რომ დავტოვე.

სტუმარი ამ სიტყვებს აუჩქარებლად ხმადაბლა წარმოთქვამს. აშკარად იგრძნობა ნაღველი. იგი თმაზე ისვამს ხელს და შემდეგ განაგრძობს:

რომ იცოდეთ, როგორ განვიცდით ხოლმე ყოველ აქაურ თანამემამულესთან შეხვედრას. ილიკო სუხიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლის გასტროლებმა ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია თურქეთში. მაშინ კი გავიხარეთ.

ვცდილობთ ერთიმეორის გატანას. არ გვინდა ჩამოვრჩეთ არც ერთ სხვა ხალხს. მერწმუნეთ, არასოდეს შემირცხვენია საქართველო!

ჭუჩაში გამოვედით. უკვე დღის მეორე ნახევარია. ბევრი ხალხია რუსთაველის პროსპექტზე. გამოფენილ თბილისელთა ნაკადს ოთხი ქართველიც შევუერთდით. ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივი ამბავია — ქართულად მოლაპარაკე ადამიანები საქართველოს დედაქალაქში. მაგრამ... მაგრამ, დღეს ერთ ჩვენგანს უნდა დაეტოვებინა ქართული მიწა, რათა იქით, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებთან ჩაეტანა მოზღვავებული გრძნობები, სამშობლოს აბორგებული სიყვარული, რადგან — თუ გსურს შენს შვილებს ჩაუნერგო მამულის ერთგულება, ეს ერთგულება უპირველეს ყოვლისა ჯერ მამას უნდა ჰქონდეს.

ვასილ მჭედლიშვილი.

ანბანთქება

არა მგონია არსებობდეს ადამიანი, რომ საქართველოს ესტუმროს და ორიოდე ტკბილი სიტყვა მაინც არა თქვას მასზე. ბევრი სიმღერებს, ლექსებსა და მოთხრობებს ქმნის ამ ქვეყნის შესახებ; მე გადაწყვეტილი ანბანნაქებით გადმომცა განცდილი და გულისნადები. რასაკვირველია, სრულად ვერ წარმოგიდგენთ ყველაფერს, და ჩემი ანბანნაქებაც სრული ვერ იქნება. ეს წერილი ჩემი შთაბეჭდილებების მხოლოდ პატარა მონახაზია.

ბევრი რამ შესანიშნავი ვნახე მზიურ საქართველოში. რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების ნახევარი საქართველოსთან არის დაკავშირებული; ქართულ ანბანს მე თექვსმეტი წლის ასაკში გავეცანი. ასეთ ასაკში ძნელია განსაზღვრო შენი მუდმივი სპეციალობა, მაგრამ საქართველოს დიდებულმა ისტორიამ, კულტურამ შთამინერგა სიყვარული და ინტერესი ქართველი ერისადმი. გავეცანი გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“, ილიას, აკაკის, ვაჟას... და მაშინ კი მტკიცედ ვთქვი: ქართულ ენას უნდა ვეზიარო-მეთქი.

გელათი. ჩემი პედაგოგი დოქტორი იარომირ იედლიჩკა ყოველთვის გადმომცემდა ხოლმე თავის შთაბეჭდილებებს საქართველოზე. ბევრი კარგი უთქვამს ქუთაისზე, ამ ძალზე თავისებურ და საინტერესო ქალაქზე. ჩავედი ამ ქალაქში და, არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა, ორ დღეში მეგობრების დიდი არმია შევიძინე. პირველი შეხვედრა მათთან გელათის გალავანში მოხდა. მასპინძლებმა დაწვრილებით გადმომცეს გელათის მთელი ისტორია. იგი მართლაც რომ ცხოვრების აკადემიაა, ერის უკვდავების ძეგლი. მიზნად დავისახე მისი ისტორიული წყაროები საფუძვლიანად შევისწავლო, და გავაცნო ჩვენ ხალხს. რაც შეეხება ქუთაისს, აქ ძველიც ლამაზია და ახალიც. ლამაზები არიან ქუთათურებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. დაუვიწყარი იყო შეხვედრა ამ ქალაქში, გულთბილი მიღება და სჯა-ბაასი, რისთვისაც მადლობას ვუხდი ლევან სანიკიძეს, ვახტანგ დათიაშვილს, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას.

დავით ლორთქიფანიძე. მე ვგონებ, მკითხველებმაც ბევრი რამ იციან ამ პიროვნების შესახებ. რაოდენ ძვირფასია ჩემი ხალხისათვის კომეწოლოგ დავით ლორთქიფანიძის შემოქმედება და მოღვაწეობა, ამას კომენტარებიც არ სჭირდება.

ვაჟა-ფშაველა. ვაჟა — პოეზიის ტიტანია. სიტყვა თუ ლექსი ვაჟასი ჩანჩქერივით ქუხს და ხალხში მარგალიტებად იფანტება. ამის თქმით ქართველ მკითხველებს ვერ გავაკვირვებ, მაგრამ იმიტომ ვამბობ, რომ მე დედაში ვიცნობ ვაჟას. ძნელია, ნამდვილად ძნელია უცხო ენაზე მისი ასე რიგად, ასე ქართულივით ამეტყველება. და როცა დადგება ჟამი, ქართულ ენას შეისწავლიან არა მხოლოდ ლინგვისტები, არამედ ყველა პოეტი, რომელიც პოეზიის ცეცხლში იწვის და ელავს; სამწუხაროდ,

ვაცლავ ჩერნი,

ჩეხი მწერალი

◆

ეს ამბავი გარკვეულ დროს მოითხოვს, ვაჟას ლექსის ძალა და ეშხი კი მსოფლიო საზოგადოებრიობას ჰაერივით სჭირდება. „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურად თარგმნის შემდეგ ჩვენ, ჩეხი ქართველოლოგები ამ დასკვნამდე მივედით და მიხდა ქართველი მკითხველები გავახარო, რომ ვაჟას ნაწარმოებები უკვე იბეჭდება ჩეხურ ენაზე. წიგნში შესულია პოეტის მრავალი ბრწყინვალე ლექსი და იმედი მაქვს, ჩეხი მკითხველი მას ისევე აღტაცებით მიიღებს, როგორც მიიღო უკვდავი შოთას „ვეფხისტყაოსანი“.

თბილისი. პირველი შეხვედრა თბილისთან ყველა ჩემი თანამემამულის გულში განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს და აი, რატომ: მამადავითი და საბაგირო გზა ჩვენი პრაღის პეტრჟინს გვაგონებს, მეტეხი კი — ძველი პრაღის ცნობილ მხარეს — ვიშეჰრადს. თბილისის ვაგზალი, ადგილმდებარეობით და კონსტრუქციით, ჩვენს მთავარ ვაგზალს ჰგავს. ვლტავაც მტკვარივით ქალაქის შუაგულში მიედინება და თქვენ წარმოიდგინეთ მიმართულებაც კი თანხვედრილია. ქუჩები თბილისში ასე რომ, განსხვავება მხოლოდ ერთია და პრაღაშიც მწვანეთია შემოსილი. — თბილისი სამხრეთის ქალაქია — ამ მხრივ თქვენი დედაქალაქი იტალიის ქალაქებს მაგონებს. საკმარისია რამდენიმე დღე დაჰყო თბილისში, რომ მკვეთრად შეიგრძნო ქართველი კაცის ყველა ძვირფასი თვისება, რომელსაც ერთად თავმოყრილს მეგობრობა ჰქვია. აი, სწორედ ამიტომ მიყვარს თბილისი — მზისა და სილამაზის ქალაქი.

კოლხური კოშკი — ასე უწოდებენ კონსტანტინე გამსახურდიას სახლს თბილისში. აი, შევყურებ კოლხურ კოშკს, გარეთ ბავშვების ჟრიამული ისმის, მოძრაობენ ავტომანქანები, ოთახში კი მაგიდას უზის თმაჭაღარა კონსტანტინე და სიტყვას სიტყვაზე ასხამს. აქ იბადება ახალი რომანი თამარ მეფეზე.

იდღეგრძელე, დიდო მწერალო; დიდება შენს მარჯვენას! ჩვენ, ქართველოლოგები მოვალენი ვართ უფრო მეტი ვიმუშაოთ ვიდრე ოდესმე, უფრო ვრცლად გავაცნოთ ჩვენს ხალხს თქვენი შემოქმედება.

პირველად საქართველოს რვა წლის წინათ ვეწვიე. ახლა კი როცა ნაცნობ ადგილებში გავიარე, ათი წლის სიცოცხლე მომემატა. აი, როგორი მიზიდვა სცოდნია ამ ჯადოსნურ ქვეყანას. მაშინ დიდი საჩუქრებით როდი ჩამოვედი, მხოლოდ ორიოდე ქართული წიგნი მქონდა თარგმნილი. მომავალში კი, პირობას გაძლევთ, დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. დიე, ეს ჯერჯერობით ჩემი საიდუმლო იყოს.

ტრაბახით არ ვიტყვი — შეგიძლიათ მოთხრათ ძალიან მდიდარი კაცი ხარო,

მემკვიდრეობითია თუ არა დღეგრძელობა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. ჟორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოციალურ-ჰიგიენური ლაბორატორიის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს საქართველოს ცხრა ათასი დღეგრძელი ადამიანი, რომლებიც 90 და მეტი წლისანი არიან. ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ მემკვიდრეობითობის გავლენას დღეგრძელობაზე.

ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ მემკვიდრეობითი ნიშნების გამომუშავება ხდება წინაპართა სიცოცხლისა და საქმიანობის მანძილზე. მაგრამ ქართველმა გერონტოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მეტ წილ შემთხვევებში ეს ნიშნები თავს იჩენს მატერიალურ, გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან ერთად.

გამოკვლეულთა შორის მხოლოდ ნახევარს ჰყავდა დღეგრძელი მშობლები. ამასთან ძმებს, დებსა და სხვა ახლო ნათესავებს შორის დღეგრძელობის პროცენტი მეტია.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყოველი შემდეგი თაობა რამდენადმე განსხვავდება წინა თაობისაგან. ამის საფუძველზე ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გარესამყაროს პირობების შეცვლასთან ერთად (სოციალურ-საყოფაცხოვრებო, ჰიგიენური და მატერიალური) იცვლება ამა თუ იმ თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობაც. ეს კი ნიშნავს, რომ ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესების, შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმის მეოხებით შეიძლება გავადიდოთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.



ეს იმიტომ, რომ საქართველოში უამრავი მეგობარი მყავს. ძმები ოთარი და თამაზ ჭილაძეები ჩემს საკუთარ ძმებად მიმაჩნია. აი, თუნდაც უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკი გივი ნებიერიძე, რომელიც ჩემი ხშირი სტუმარია პრაღაში, ნოდარ ჩხეიძე, მამუკა ცეცხლაძე, სხვები და სხვები. მე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო და ჯანმრთელობა ვუსურვო ყველას, ვისთანაც პური გამიტეხია, მისაუბრია, მომილხენია და რჩევა-დარიგება მიმიღია.

ფელამუში ანუ თათარა. ერთხელ სასტუმროში თქვენებურმა კაცმა ფელამუში შემომთავაზა, გამიკვირდა, რადგან არასოდეს მინახავს და არც გამიგონია მისი სახელი. მან დასძინა კიდეც, ფელამუშისაგან ჩურჩხელას ამზადებენო. ბრაზი მომივიდა, ეს სიტყვა განმარტებით ლექსიკონში რატომ გამომრჩა-მეთქი. ასე, რომ ამით ქართული საჭმლის კი არა, ენის უცოდინარობა გამოვამჟღავნე. პირობას გაძლევთ მომავალში ასეთი ხარვეზი აღარ განმეორდეს და უფრო უკეთ ჩავუკვირდე ქართულ განმარტებით ლექსიკონს.

შალვა გვინჩიძე. ორმოცდაჩვიდმეტში გავიცანი ეს ადამიანი. ყურნალ „დროშის“ რედაქციაში. მახსოვს მისი კეთილი თვალები, მეგობრული ღიმილი. რარიგად აღფრთოვანებული მესაუბრებოდა მომავლის გეგმებზე. რჩევა-დარიგებასაც არ მაკლებდა, მზად იყო ჩემთვის, ჩემი საქმისთვის მთელი დღე დაეთმო. ბევრი ვიმსჯელეთ თანამედროვე ლიტერატურაზე; ჩემი ხმით მიკითხავდა „შვეიკის“ ახალ თარგმანს. მერე შეხვედრის დროც კი დავთქვით, მივიპატიჟეთ ერთმანეთი. ოთხიოდე წლის წინათ შევიტყე მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. შალვა იყო ერთ-ერთი პირველი ადამიანი საქართველოში, რომელმაც ჩეხური ენა დამოუკიდებლად შეისწავლა. ბევრს თქვენგანს წაუკითხავს მის მიერ თარგმნილი კომენსკი და ჩაპეკი, ირასეკი და ჰაშეკი... ძვირფასი ქართულით აამეტყველა ისინი შალვამ. ამ მხრივ იგი ჩემს მასწავლებელ იაროშირ იედლიჩკას მაგონებს. დიდებულ საქმეს ემსახურებოდა შალვა გვინჩიძე — ორი ერის სიყვარულსა და მეგობრობას.

ჰო და, აი ჩემი გამგზავრების დროც დადგა. რას იზამ, ყველა ჩვენგანს თავისი სამშობლო აქვს, ყველას მაინც სამშობლოსკენ მიუწევს გული, თუმცა ხომ არიან ადამიანები, რომლებიც სხვა ქვეყანასაც სამშობლოსავით შეეთვისებიან, შეიყვარებენ. მაშინ ასეთი ადამიანები ამბობენ: ჩემი მეორე სამშობლო ესა და ეს ქვეყანა არისო. მეც მათ რიცხვს ვეკუთვნი. ჩემი ცხოვრების ნახევარი თუ ქართული ენის სიყვარულს მოვახმარე, ხომ მაქვს უფლება თამამად ვთქვა — საქართველო ჩემთვის უძვირფასესი ქვეყანაა-მეთქი. და ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ შევხვდებით, ჩემო საქართველოვ. რამდენჯერ დაგიკოცნი ვარდ-ყვავილებით მოქარგულ გულ-მკერდს, რამდენჯერ გადავეხვიოთ ერთმანეთს მე და შენი შვილები; როგორც იტყვიან, ცხოვრება წინ არის. მაშ მოდით, მეგობრებო, ქართველებო, ერთად ვუმღეროთ საბჭოთა საქართველოს, თქვენთან იქნება მარად ჩემი აზრიც და მიზრაფიც. მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

ჩეხურიდან თარგმნა ალეკო კაკულიამ.

იხარე, ჭერო!

1964 წლის 30 აგვისტო — ალბათ არავის ახსოვს ამჟამად ეს თარიღი. ამ დღეს თითქოს არაფერი მომხდარა არაჩვეულებრივი — არ დაუპყრიათ კოსმოსი, არ დაუმყარებიათ მსოფლიო რეკორდი...

მაგრამ ამის მტკიცებაც ძნელია. შეგვედავება ის ორი ახალგაზრდა, რომლებმაც პირველად შედგეს ფეხი თბილისის „ქორწინების სასახლეში“. 30 აგვისტო მათთვის დაუვიწყარი დღე გახდა. მას შემდეგ ასეთი „დაუვიწყარი დღე“ იზეიმა 17 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა.



კარგად იცნობენ ახლა თბილისელები სანაპიროზე მდებარე სახლს, რომელიც ადამიანის ცხოვრების სიხარულისა და ბედნიერების განსახიერებად იქცა. ქორწინების სასახლეში ყველაფერი ისე ხდება, რომ ახლად დაქორწინებულებმა სამუდამოდ დაიმახსოვრონ ცხოვრების ეს პირველი დღე. გემოვნებით მორთულ ოთახებში ყურის მელოდიური სიმღერები, დაქორწინებულთ და სტუმრებს საუცხოოდ მორთული სადღესასწაულო მაგიდა ელის.

ქართული ქორწილი! იგი მდიდარია ტრადიციებით, განთქმულია შინაარსით და ფორმით.

— დავიცვათ ეს ტრადიციები, აღვადგინოთ ზოგიერთი ელემენტი — ასე გადაწყვიტეს ქორწინების სასახლის მუშაკებმა.

და მიმდინარე წლის 12 ივნისს ქორწინების სასახლის სადარბაზოსთან გაჩერდა მორთული ეტლი, რომელშიც თეთრი ცხენები იყო შებმული. ეტლიდან გადმოვიდნენ ფერდინანდ ქურციკიძე და ხათუნა ბედენეიშვილი. ცოტა ხანიც და ახლად დაქორწინებულნი ეკიპაჟით სახლისაკენ გაემგზავრნენ.

მოგეწონათ? ჰკითხეს ახალგაზრდებს.


— არ გვეგონა, რომ ეტლით გასეირნება და ისიც ამ ბედნიერ დღეს მოგვანიჭებდა ამგვარ სიამოვნებას.

და ბოლოს სიტყვა ვთხოვეთ თბილისის იპოდრომის დირექტორს კაპიტონ ნაჭუებიას.

— „ჯერჯერობით ახალგაზრდებს მოემსახურება სამი ეკიპაჟი. ახლო მომავალში ეს რიცხვი გაიზრდება და ჩვენც შევძლებთ უკეთ მოვემსახუროთ თბილისელ ახლად დაქორწინებულთ“. ამთავრებს თავის მოკლე ინტერვიუს ნაჭუებია.

სურათებზე: 1. ფერდინანდ ქურციკიძე და ხათუნა ბედენეიშვილი „ქორწინების სასახლესთან“. 2 ახლად დაქორწინებულნი ბეჭდებს უცვლიან ერთმანეთს. 3. ეტლით — ოჯახური ბედნიერებისაკენ.

ფოტო გ. კიკვაძისა და ს. თევზაძისა.



დაგეძებენ, მოგელიან



დიმიტრი (მიტო) სერგის-ძე თომაძეს, დაბადებულს 1910 წელს ქ. ხაშურში, ეძებენ ძმა — ილია სერგის-ძე თომაძე, მცხოვრები თბილისში ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. დები — ლუბა, ვარა, შვილები — სირო, ლენა, ძმისშვილი — თენგიზ თომაძეები.



სურათზე: მარცხნივ დ. თომაძე თავის მეომარ ამხანაგებთან ერთად.

გიორგი ალექსანდრეს-ძე დათიკაშვილს, დაბადებულს 1921 წელს ქ. თბილისში, ეძებს დედა — ქეთევან ზაქარიას ასული დათიკაშვილი, მცხოვრები თბილისში, ჭუჩიშვილის ქ. № 22.

გიორგი (ჟორა) იოსების-ძე გზიკაძეს, დაბადებულს 1918 წელს, სოფ. თერნალში (ყვალტუბოს რაიონი), ეძებს ძმა—შალვა, მცხოვრები ქ. ჭუთაისში.

მიხეილ მიხეილის-ძე ფურცხვანიძეს, დაბადებულს 1923 წელს ქ. ბათუმში, ეძებენ მამა — მიხეილ ივანეს-ძე ფურცხვანიძე, დედა — მარიამი, მცხოვრებნი ქ. ფოთში.



სურათზე: მ. მ. ფურცხვანიძე.

სპორტული მიმოხილვა

წინა საუბარში შეგპირდით, რომ მხოლოდ ფეხბურთზე ვილაპარაკებდით, მაგრამ სასიხარულოდ სპორტის სხვა სახეობებში მოხდა ისეთი მოვლენები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ.

ოქროს მედალი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა კლასიკურ ჭიდაობაში **რომან რურუა** (ქვემსუბუქი წონა). ტოლიდოში მსოფლიოს პირველობაზე მისმა ბრძოლის ტექნიკამ, მაღალმა ოსტატობამ მაყურებლები და სპეციალისტები მოხიბლა. **ომარ შაპაძე,** სახელგანთქმული ველოსიპედისტი, ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს ევროპის ქალაქებში და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. ამსტერდამის ოლიმპიურ ტრეკზე იგი უძლიერესი იყო. ფინალში დაამარცხა დ. მორელონი (საფრანგეთი) და ამსტერდამის დიდი პრიზი მოიგო.

ფრიად სასიხარულო ცნობა მოვიდა შვეიცარიდან. სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელზეც მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელებმა მოიყარეს თავი, დამთავრდა ქართველი სპორტსმენის **ალექსანდრე მეტრეველის** გამარჯვებით. საბჭოთა სპორტის ისტორიაში ა. მეტრეველი პირველია, რომელმაც მოიგო ეს ტიტული და დაამარცხა უმბლდონის ჩემპიონი.

თქვენ კარგად იცით, რომ ა. მეტრეველმა მრავალ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია მიმდინარე სეზონში. ამაზე დაწვრილებით გიამბეთ. მეოთხედფინალში ქართველმა სპორტსმენმა დაამარცხა ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, როგორიც არის იტალიელი ნ. პიეტრანჯელი (3:2), ნახევარფინალში მოუგო ინგლისელ რ. ტეილორს (3:0), ფინალში კი დაამარცხა უმბლდონის ჩემპიონი ესპანელი მ. სანტანა (3:6, 2:6, 6:1, 7:5, 6:4). ბრწყინვალე წარმატებაა!

მაგრამ დავუბრუნდეთ ფეხბურთს. თუმცა უკვე დაიწყო მსოფლიოს უძლიერესი გუნდების ბრძოლა ოქროს ჭალღმერთისათვის მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს. ახლა კი ჩვენს საშინაო საქმეებს მივხედოთ. გადავხედოთ სსრ კავშირის გათამაშების ცხრილს. დღეისათვის თბილისის „დინამო“ მე-6 ადგილზე იმყოფება. ეს კარგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცოტა ხნის წინათ მე-10 ადგილზე ვიყავით. მაგრამ ეს მეექვსე ადგილი მაინც არ ეკადრება ექს-ჩემპიონს. მართალია, გუნდს აკლია სამი წამყვანი მოთამაშე (მ. ხურცილავა, გ. სიჭინავა, ს. მეტრეველი ინგლისში არიან), მაგრამ ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება, კიევის „დინამოს“ ხომ ხუთი მოთამაშე ჰყავს ნაკრებში, მაგრამ უკრაინელები მტკიცედ ლიდერობენ ჩემპიონატს.

კოლექტივში მიხეილ მესხის დაბრუნებამ (უცილასათვის მოულოდნელად იგი სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა არ წაიყვანა ინგლისში, რაც უთუოდ მცდარი გადაწყვეტილებაა, და ეს რომ ასეა, მომავალი გვიჩვენებს), ნამდვილად სული შთაბერა გუნდს. მეკარე რამაზ ურუშაძე შესანიშნავად თამაშობს. ჩემი აზრით, იგი ახლა უძლიერესია საბჭოთა კავშირში.

როგორც ჩანს, „დინამო“ ახლა აღმავლობას განაცდის, თუმცა ჯერ ადრეა შორსგამიზნული პროგნოზების გაკეთება, მაგრამ ცხადია, რომ მომავალ შეხვედრებში აღარ გამეორდება ის, რაც სეზონის დასაწყისში ასე ხშირად ხდებოდა — როდესაც იკარგებოდა გათვალისწინებელი ქულები.

მაგრამ ექს-ჩემპიონს უჭირს. უჭირს იმიტომ, რომ ცენტრში არა ჰყავს სრულფასოვანი ფორვარდი (ვ. ბარქაია ფორმაში ვერ არის). ამიტომ იძულებულია სამი თავდამსხმელით ითამაშოს, რაც ძალიან დაბლა სწევს გუნდის შედეგიანობას. ვნახოთ, რას მოგვიტანს გასვლითი თამაშები (ერთი უკვე წაგებულია ოდესაში „ჩერნომორეცთან — 0:1) მით უმეტეს, რომ უნდა შეხვდნენ ლიდერს — კიევის „დინამოს“ და ისეთ ძნელ მეტოქეს, როგორიც დონეცკის „შახტორია“.

ქუთაისის ტორპედოელები დღეისათვის მეთერთმეტე ადგილზე იმყოფებიან. ეს ცუდი როდია. ქუთაისელთა ამოცანაა ათეულში მოხვდნენ. როგორც ჩანს, გუნდი მიაღწევს ამას. ქუთაისის ნიჭიერი და ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომ იტყვიან, თამაშიდან თამაშამდე იმაღლებენ ოსტატობას.

საუბარი მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთში შემდეგისათვის გადავდოთ.

ო. ლორთქიფანიძე.

თბილისის საექსკურსიო ბიურო

ავტობუსების გრძელი მწკრივი გაემართა თბილისიდან მცხეთაში. მანქანებში იყვნენ ექსკურსანტები — ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა VII სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები და სტუმრები. ამ ექსკურსიაში 1.000 კაცი მონაწილეობდა. სტუმრებმა დაათვალიერეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ზედაზენი, იყვნენ ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ორი დღით ადრე ყრილობის მონაწილეებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ამ დღეებში თბილისელთა ყურადღება მიიპყრო ავტობუსებმა წარწერით „სოჭი“ და „კავკასიის გარშემო“. 150 დამსვენებელი, რომლებიც ავტომატარებლებით მოგზაურობენ კავკასიაში, სოჭიდან თბილისში ჩამოვიდნენ.

წელს თბილისში ჩამოვა 65 ტურისტული მატარებელი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ნოვოსიბირსკიდან, კუიბიშევიდან, სოჭიდან, ბალტიისპირა და შუა აზიის რესპუბლიკებიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მათი საექსკურსიო მომსახურება დაეკისრა საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თბილისის საექსკურსიო ბიუროს კოლექტივს. ექსკურსიის მძღოლები ჩამოსულებს უწვენებენ თბილისის ახალმშენებლობებს, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, მუზეუმებსა და გამოფენებს. ტურისტებისათვის მოეწყობა მეგობრობის საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები. მათ უწვენებენ ქრონიკალურ-დოკუმენტალურ კინოფილმებს.

სატრანზიტო მგზავრებისათვის თბილისის საექსკურსიო ბიურო მოაწყობს ექსკურსიებს ავტობუსით რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

1966 წ. ივლისი

ვალუტის ოფიციალური კურსი

ვალუტის დასახელება	კურსი მანეთობით
ავსტრალიის დოლარები 1-ში	1,00
ავსტრიის შილინგები 100-ში	3,49
ალბანეთის ლეკები 100_ში	18,00
ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დინარები 100-ში	18,23
ინგლისის გირვანქა სტერლინგები 1-ში	2,51
არგენტინის პესოები 100-ში	0,45
ავღანეთის ავღანები 100_ში	2,01
ბელგიის ფრანკები 100-ში	1,81
ბირმის კიატები 100-ში	18,89
ბულგარეთის ლევები 100-ში	76,92
უნგრეთის ფორინტები 100_ში	7,67
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დონგები 100-ში	30,60
განის სედები 1-ში	1,05
გვინეის ფრანკები 1000-ში	3,65
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანული საემისიო ბანკის მარკები 100_ში	40,50
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკები 100-ში	22,48
ჰოლანდიის გულდენები 100-ში	24,91
საბერძნეთის დრაქმები 100-ში	3,01
დანიის კრონები 100_ში	13,01
ევგიპტის გირვანქები 1-ში	2,05
ისრაელის გირვანქები 100-ში	30,00
ინდოეთის რუპიები 100-ში	12,00
ინდონეზიის რუპიები (ახალი) 100-ში	9,00
ერაყის დინარები 1_ში	2,52
ირანის რიალები 100-ში	1,19
ისლანდიის კრონები 100-ში	2,09
იტალიის ლირები 1.000_ში	1,44
კამბოჯის რიელები 100-ში	2,57
კანადის დოლარები 1-ში	0,8375
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იუანები 100-ში	45,00
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვონები 100-ში	74,93
კუბის პესოები 1-ში	0,90
ლიბანის გირვანქები 100-ში	29,00
ლიბიის გირვანქები 1-ში	2,51
მალის ფრანკები 1.000-ში	3,65
მაროკოს დირჰამები 100-ში	17,78
მექსიკის პესოები 100-ში	7,22
მონღოლეთის ტუგრიკები 100_ში	22,50
ნეპალის რუპიები 100-ში	11,78
ახალი ზელანდიის გირვანქები 1-ში	2,50
ნორვეგიის კრონები 100-ში	12,57
პაკისტანის რუპიები 100_ში	18,89
პოლონეთის ზლოტები 100-ში	22,50
რუმინეთის ლეები 100-ში	15,00
სირიის გირვანქები 100-ში	22,48
სომალის შილინგები 100_ში	12,60
აშშ დოლარები 1-ში	0,90
სუდანის გირვანქები 1-ში	2,59
ტუნისის დინარები 1-ში	1,71
თურქეთის ლირები 100_ში	10,00
ურუგვაის პესოები 100-ში	1,41
ფინეთის მარკები 100-ში	28,13
საფრანგეთის ფრანკები 100-ში	18,37
ცეილონის რუპიები 100_ში	18,92
ჩეხოსლოვაკიის კრონები 100-ში	12,50
შვეიცის კრონები 100-ში	17,44
შვეიცარიის ფრანკები 100-ში	20,86
ეთიოპიის დოლარები 100_ში	36,00
იუგოსლავიის დინარები (ახალი) 100-ში	7,20
იაპონიის იენები 1.000-ში	2,51

ეწვიეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.